

## გთხოვთ, გაეცნოთ ვებ-გვერდ Selftest.ge -ის მოხმარების წესებსა და პირობებს.

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

ჩვენ - პროვაიდერი ორგანიზაციები; თქვენ - ვებ-გვერდის მომხმარებელი; ვებ-გვერდი - პროვაიდერი ორგანიზაციების საკუთრებაში არსებული ვებ-გვერდი. ამ წესების და პირობების გაცნობით, ჩვენ თქვენ გაწვდით იმ საჭირო ინფორმაციას, რომელიც თქვენ დაგჭირდებათ ვებ-გვერდით სარგებლობისას. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ისარგებლებთ ჩვენი ვებ-გვერდებით, ეს ნიშნავს, რომ თქვენ თანხმობას აცხადებთ ჩვენი საიტის გამოყენების წესებსა და პირობებზე. ზოგადი წესები და საიტის გამოყენების პირობები წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულებას მომხმარებელსა და პროვაიდერ ორგანიზაციებს შორის. ჩვენ მიერ მოწოდებული სერვისებით სარგებლობა ავტომატურად გულისხმობს იმას, რომ თქვენთვის ცნობილია საიტის გამოყენების წესები და პირობები და სრულად ეთანხმებით მათ. საიტის გამოყენების წესებისა და პირობების მოქმედება ერთნაირად ვრცელდება სერვისის მომხმარებელზე, იმის მიუხედავად, თუ რომელი ტექნიკური საშუალების გამოყენებით ხდება სერვისებზე წვდომის მოპოვება, იქნება ეს ვები (WWW), მესამე პირების მიერ შექმნილი საკომუნიკაციო პლატფორმები მობილური ტელეფონი, RSS არხი, თუ სხვა ნებისმიერი საშუალება.

## რას გულისხმობს პლატფორმით სარგებლობა?

პროვაიდერი ორგანიზაციების საკუთრებაში მყოფი ვებ-გვერდი - Selftest.ge განკუთვნილია მხოლოდ 18+ ასაკის ადამიანებისთვის. საიტზე შესვლისას მოხმარებელს შესაძლებლობა აქვს, სახლიდან გაუსვლელად მიიღოს ის სერვისები, რასაც პროვაიდერი ორგანიზაციები სთავაზობენ მსმ და ტრანს\*, კსმ და ნარკომომხმარებელი პოპულაციის წარმომადგენლებს. კერძოდ: კონდომები და ლუბრიკანტები, სწრაფი ტესტები აივ ინფექცია/შიდსზე თუ სხვა. თუ თქვენ გადამისამართდებით ვებ-გვერდზე მოცემულ რომელიმე საიტზე ან ფაილზე და ის წარმოადგენს კონკრეტული პროვაიდერი ორგანიზაციის კუთვნილებას, მაშინ მოქმედებს წინამდებარე წესები და პირობები. თუ ბმული გადაგამისამართებთ სხვა კომპანიის მფლობელობაში მყოფ საიტზე, მაშინ მოქმედებს სხვა კომპანიის საიტზე განთავსებული მომხმარებელთა მიერ ვებ-გვერდის მოხმარების წესები და პირობები.

## პერსონალურ მონაცემთა დაცვა

ჩვენ მიერ დაცულია საიტით მომხმარებელთა პერსონალური ინფორმაცია. პერსონალური მონაცემების დაცვისას ვმოქმედებთ საქართველოს კანონმდებლობით და „პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონით.“ ინფორმაცია, რომელსაც ნებაყოფლობით გვაწვდით საიტზე ავტორიზაციისა და პროდუქციის გამოწერისთვის, ხელმისაწვდომია მხოლოდ კონკრეტული პროვაიდერი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირისთვის და ინახება საიტის მოქმედების ვადით. იმ შემთხვევაში, თუ გსურთ თქვენი პერსონალური ინფორმაცია წაშლილი იქნეს ჩვენი ბაზიდან მოთხოვნის დაყენებიდან 15 დღის ვადაში, პროვაიდერი ორგანიზაცია უზრუნველყოფს თქვენი პერსონალური მონაცემების წაშლას. ყველა პერსონალური ინფორმაცია ასევე, წაშლილი იქნება პროფილის დეაქტივაციის შედეგადაც. განზრახ არასწორი ინფორმაციის მოწოდებისას, ცალკეულად ყველა პროვაიდერი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას, შეგიზღუდოთ წვდომა ვებ-გვერდზე განთავსებულ პროდუქციასა და სერვისებზე.

## კონფიდენციალურობის დაცვა

პროვაიდერი ორგანიზაციები თქვენს მიერ მისთვის მიწოდებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას იცავენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროვაიდერი ორგანიზაციები მაქსიმალურად ზრუნავენ საიტით მოსარგებლე პირების კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვაზე, მაგრამ იხსნიან პასუხისმგებლობას თქვენ მიერ შეყვანილი მონაცემების არასანქცირებულ წვდომაზე, ამ მონაცემების საიტით სარგებლობის დროს მოწოდებისას. საავტორო უფლებები, ჩვენ მიერ საიტზე განთავსებული ნებისმიერი ვიზუალური მასალა, მათ შორის ლოგო და სხვა პროდუქცია, წარმოადგენს კონკრეტული ორგანიზაციის ინტელექტუალურ საკუთრებას და მასზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ქონებრივი და არაქონებრივი უფლება. პროვაიდერი ორგანიზაციის თანხმობის გარეშე დაუშვებელია საიტზე განთავსებული ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება.

## პასუხისმგებლობის შეზღუდვა

პროვაიდერი ორგანიზაცია იხსნის პასუხისმგებლობას ჩვენს საიტზე განთავსებული ინფორმაციის არასანქცირებული გამოყენებისთვის და სხვა პირთა მიერ მიზნობრივად არასანქცირებულად მოპოვების ან დაზიანებისთვის.

## ცვლილებები

პროვადერი ორგანიზაცია იტოვებს უფლება-მოსილებას, შეიტანოს ცვლილებები ზემოხსენებულ წესებსა და პირობებში. ასევე შეიტანოს ცვლილებები დიზაინსა და ფუნქციონალში.

## მოქმედი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

მხარეებს შორის ნებისმიერი არსებული დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთო სასამართლოებისთვის მიმართვის გზით. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ პროვადერი ორგანიზაციის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში და არ საჩივრდება.

## ფუნქციონალის შეზღუდვა

მომხმარებლის მიერ ვებ გვერდის „დასპამვის“, ყალბი ანგარიშების შექმნის, პროდუქციის გაყიდვის, პროდუქციის სხვის სარგებლობაში გადაცემისას, პროვადერი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას, მოახდინოს მომხმარებლის ანგარიშის ბლოკირება და გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება.

## საკონტაქტო ინფორმაცია

ნებისმიერი შეკითხვის არსებობის შემთხვევაში, რაც უკავშირდება ვებ გვერდზე მითითებულ ინფორმაციას, გთხოვთ, მიმართოთ კონკრეტულ პროვადერს.